

სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2017 წლის მარტი

შინაარსი

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა	3
ნაწილი 4 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები.....	3
4.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით	3
4.2 დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	4
4.3 დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	15
4.4 დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	16
ნაწილი 5 დაზარალებული პირები.....	19
5.1 დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით.....	19
5.2 დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	21
ნაწილი 6 არასრულწლოვნები.....	27
6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	27
6.2 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	28
6.3 დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	30
6.4 დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	31
6.5 დაზარალებული არასრულწლოვნები.....	31
თავი III. სასამართლო სტატისტიკა	34
ნაწილი 7 სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8 პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	36
8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	36
8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები.....	37
8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები.....	38
ნაწილი 9 მსჯავრდებულები	38
9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	42
ნაწილი 10 დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	49
თავი IV. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკა.....	52

ნაწილი 11	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტი	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	57
11.3	საპატიმრო ადგილების ლიმიტები.....	58
11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	59
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით.....	61
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	62
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა.....	65
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა.....	65
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება	66
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა.....	67
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება.....	72
11.12	დისციპლინური სახდელები.....	73
11.13	წახალისების ფორმები.....	74
11.14	პაემნის ღონისძიებები.....	76
11.15	წარსულში ნასამართლეთა ბრალდებულები და მსჯავრდებულები.....	78
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები.....	79
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება.....	80
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება.....	81
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები.....	82
11.20	დაავადებათ გაგრძელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში	84
11.21	გარდაცვალება.....	93
ნაწილი 12	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო	93
12.1	პირობით მსჯავრდებულები	93
12.2	პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	94
12.3	არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით.....	95
12.4	უცხოელი პირობით მსჯავრდებულები.....	97
12.5	პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	98
12.6	პირობით მსჯავრდებულთა მატება.....	99
12.7	დასრულებული საქმეები.....	101
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლეობის მოხსნა	104
12.9	პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება	105
12.10	პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია.....	105
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.....	106
12.12	პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია	107
12.13	პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება.....	108
12.14	თავისუფლების შეზღუდვა.....	109


თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 1564 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილ იქნა 383 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 24,5%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):




როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):



დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):




ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (დაუხმარებლობა).


დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)



დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დევნის დაწყების მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):

დევნის დაწყების მაჩვენებელი ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)




დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულებზე ფულად-საკრედიტო სისტემაში (2017 წლის მარტი)



დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულებზე საფინანსო საქმიანობის სფეროში
(2017 წლის მარტი)**




დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ კომერციული მოსყიდვის დანაშაულზე (სსკ-ის 221-ე მუხლი).

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):

დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ სსკ-ის 254-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა).

ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)**




სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

დევნა დაიწყო 69 პირის მიმართ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 276-ე მუხლი).


კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):

დევნის დაწყების მაჩვენებელი კომპიუტერულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):

დევნის დაწყების მაჩვენებელი გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ
დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342¹):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)**




დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ
დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)**



დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):

დევენის დაწყების მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):

დევენის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)



დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):


**დევნის დაწყების მაჩვენებელი სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)**



4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში დევნა შეწყდა 26 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჯრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის შეწყვეტაში)**



4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):


დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207¹):

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 205¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით).

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)




ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლთ გათვალისწინებულ დანაშაულზე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)




დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის დანაშაულზე (სსკ-ის 381-ე მუხლი).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები


5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2017 წლის მარტში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1453. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):




დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში
(2017 წლის მარტი)



2017 წლის მარტის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):

დაზარალებული პირები მოქალაქეობის მიხედვით
(2017 წლის მარტი)




5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):


დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):

დაზარალებული პირები სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დაზარალებული პირები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დაზარალებული პირები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დაზარალებული პირები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)




დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):

დაზარალდა 1 პირი შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების დანაშაულზე (სსკ-ის 175-ე მუხლი).

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

**დაზარალებული პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)**




დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207¹):

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)).

დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):

**დაზარალებული პირები დანაშაულებზე ფულად-საკრედიტო სისტემაში
(2017 წლის მარტი)**




დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):

დაზარალდა 1 პირი მომხმარებლის მოტყუების დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 219-ე მუხლი).

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

**დაზარალებული პირები საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)**



სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):

დაზარალდა 3 პირი სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):


დაზარალდა 1 პირი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვის დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 264-ე მუხლი).

სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

150 პირი დაზარალდა სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).


კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):

დაზარალებული პირები კომპიუტერულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დაზარალებული პირები მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):

დაზარალდა 1 პირი ცრუ დასმენის დანაშაულზე (სსკ-ის 373-ე მუხლი).

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):

დაზარალდა 3 პირი სსკ-ის 381¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა).


ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2017 წლის მარტის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნა 27 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 11,1% (3 პირი) მოდის პირებზე, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჯრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების
მაჩვენებელში)



6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით


2017 წლის მარტის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის დანაშაულზე (სსკ-ის 109-ე მუხლი).

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ ჯანმრთელობის
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ გაუპატიურების დანაშაულზე (სსკ-ის 137-ე მუხლი).


დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საკუთრების წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ ცრუ დასმენის დანაშაულზე (სსკ-ის 373-ე მუხლი).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2017 წლის მარტის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა (ცხრილი 3, ცხრილი 4).

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით


2017 წლის მარტის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ არ დაფიქსირებულა.

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები

2017 წლის მარტის თვეში სულ დაზარალდა 73 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):


დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)




დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)



დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დაზარალებული არასრულწლოვნები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2017 წლის მარტი)




დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 175-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება).

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დაზარალებული არასრულწლოვნები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2017 წლის მარტი)



სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

დაზარალდა 20 არასრულწლოვანი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 276-ე მუხლი).

კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენების დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 285-ე მუხლი).

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):


დაზარალდა 1 არასრულწლოვანი სსკ-ის 381¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1487 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 31,1%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 68,5%-ს, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ხვედრითი წილი - 0,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).




სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 791 შუამდგომლობა, ანუ 53,2%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 69,0%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 46,2%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამომიებო ორგანოებიდან შემოსული 528 შუამდგომლობა, ანუ 35,5%.


საგამომიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან უარი ეთქვა მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 168 შუამდგომლობას, ანუ 11,3%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2017 წლის მარტში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 33,8% (319), გირაოზე - 61,5% (581), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 4,1% (39).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 944 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 319, ანუ 33,8%, ხოლო არასაპატიმრო - 625, ანუ 66,2%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 93,0%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები


8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1357 საქმე 1512 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1323 საქმე, ანუ 97,5%, შეწყდა 11 საქმე (0,8%), დაუბრუნდა პროკურატურას 23 საქმე, ანუ 1,7% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2017 წლის მარტში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 915 საქმე (სულ განხილული საქმეების 69,2%) 1022 პირის მიმართ (სულ განხილული

პირების 69,6%), არსებითი განხილვით დამთავრდა 408 საქმე (შესაბამისად 30,8%) 447 პირის მიმართ (30,4%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 408 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 385 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 10 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 13 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2017 წლის მარტში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 458 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 2,2%-ს, ნაწილობრივ გამართლებული

პირების ხვედრითი წილი - 2,8%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 2,8%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 590 სისხლის სამართლის საქმე 616 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 915 საქმეზე 1022 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 36,0% (იხ. დანართი ცხრილი №13).


ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2017 წლის მარტში სულ მსჯავრდებული 1420 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 335 პირს, ანუ 23,6%-ს;
- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 640 პირს, ანუ 45,1%-ს;
- ჯარიმა შეეფარდა 291 პირს, ანუ 20,5%-ს;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 144 პირის, ანუ 10,1%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა


2017 წლის მარტში სულ მსჯავრდებული 1420 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 94,5%-ს, ხოლო ქალი 5,5%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,7%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 0,6%-ს; ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 3,9%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 23,3%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 3,2% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:


- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 18 პირი, რაც შეადგენს 1,3%-ს,
- 18-24 წლის ასაკის - 233 პირი, ანუ 16,4%,
- 25-29 წლის ასაკის - 226 პირი, ანუ 15,9%,
- 30-49 წლის ასაკის - 778 პირი, ანუ 54,8%;
- 50 წლის ზევით ასაკის - 165 პირი, ანუ 11,6%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 56 პირი, ანუ 3,9%, საშუალო განათლების მქონეა 1120 პირი, ანუ 78,9%, უმაღლესი განათლების მქონეა 239 პირი, ანუ 16,8%.


მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1420 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1261, ანუ 88,8%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 48, ანუ 3,4%
- სხვა მომუშავეა 67, ანუ 4,7%
- კერძო მეწარმეა 12, ანუ 0,8%
- მოსწავლე ან სტუდენტია 7 ანუ 0,5%
- საჯარო მოსამსახურეა 10, ანუ 0,7% და სხვა.

**მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით
(პროცენტობით)**



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 7,6%.


9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2017 წლის მარტში მსჯავრდებული იყო 18 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებულ პირების 1,3%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 18, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 15 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 83,3% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2017 წლის მარტში სულ მსჯავრდებული 18 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 11,1%, პირობითი მსჯავრი შეეფარდა 9 პირს, ანუ 50,0%-ს, შინაპატიმრობა - 6 პირს, ანუ 33,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 1 პირს, ანუ 5,6%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 18 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 9 პირს, ანუ 50,0%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს;

- ჯანმრთელობის განმრავ მძიმე დაზიანებისათვის და ხულიგნობისათვის მსჯავრი დაედო თითო-თითო პირს, რომელთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ თითო-თითო პირს, ანუ 50%-;
- მარცვისათვის მსჯავრი დაედო 2 პირს, ანუ 11,1%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს და სხვა (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 11 არასრულწლოვანი, ანუ 61,1%;
- აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 3 არასრულწლოვანი, ანუ 16,7%;
- ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 2 არასრულწლოვანი, ანუ 11,1%;
- იმერეთისა და შიდა ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 5,6% (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების


მიხედვით

2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1323 საქმე 1469 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1420 (10 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 39 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 1515 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1630 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2017 წლის მარტში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 5,2%-ს, მძიმე დანაშაული - 24,8%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 70,0%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1630 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 5,3%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 26,0%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 68,8%-ს.

**მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის
დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)**




განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 91,9%-ს, პირობითი მსჯავრის - 8,1%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 45,6%-ს, პირობითი მსჯავრის - 42,2%-ს, ჯარიმის - 7,8%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 1,4%-ს.


ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 13,0%-ს, პირობითი მსჯავრის - 45,7%-ს, ჯარიმის - 27,7%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 13,0%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების
სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2017 წლის მარტში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 212 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 14,0%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 230 სასჯელი, ანუ 14,0%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 33,5%-ს, პირობითი მსჯავრის 27,8%-ს, ჯარიმის - 27,0%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 11,7%-ს.


ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



მარტში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,3%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 2,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 25,8% (391), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 27,4% (415), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 15,2% (230), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 6,9 (105), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 5,9% (89) და სხვა.


მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2017 წლის მარტში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1630 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 25,6%-ს (418);
- პირობითი მსჯავრი 43,3%-ს (706);
- ჯარიმა 21,1%-ს (344);
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 9,3%-ს (152).


დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა




10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2017 წლის მარტში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 686, ანუ 42,1% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 222, ანუ 13,6%, აჭარის სასამართლოებზე - 158, ანუ 9,7%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 97, ანუ 6,0%, კახეთის სასამართლოებზე - 125, ანუ 7,7%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 91, ანუ 5,6%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 129, ანუ 7,8% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



**ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების
სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)**



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: თბილისზე - 32,5%, კახეთზე - 27,2%, ქვემო ქართლზე - 27,9%, იმერეთზე - 21,2%, მცხეთა-მთიანეთზე - 28,9%, შიდა ქართლზე - 23,1% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: სამცხე-ჯავახეთზე - 54,8%, გურიაზე - 53,7%, მცხეთაზე - 55,3%, იმერეთზე - 32,9%, შიდა ქართლზე - 56,0%, ქვემო ქართლზე - 44,3%, კახეთზე - 40,8%, სამეგრელოზე - 48,1%, თბილისზე - 42,7% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: მცხეთა-მთიანეთი - 26,7%, აჭარა - 31,0%, იმერეთი - 34,7%, შიდა ქართლი - 12,1%, სამეგრელო - 21,7%, სამცხე-ჯავახეთი - 33,3%, ქვემო ქართლი - 17,5%, თბილისი - 17,6% და სხვა.

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

პენიტენციური დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში


2017 წლის მარტის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 9 539 პირი. მათგან, 9 272 კაცი და 267 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტრო“) ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან პენიტენციური დეპარტამენტის მიმდინარე წლის მარტის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 539) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 720 400) 0.26% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 272) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 779 500) 0.52%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (267) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 940 900) 0.01%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში


2017 წლის მარტის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 248). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):

ბრალდებულები და მსჯავრდებულები ასაკობრივ ჯგუფში



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.


ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2017 წლის მარტის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 9 539 ბრალდებული და მსჯავრდებული. მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):


ბრალდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები



მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები




ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები (საერთო)



ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

2017 წლის მარტის თვეში, 9 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 276 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 13.4%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):


ბრალდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2017 წლის მარტის თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

2017 წლის მარტის თვეში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 263 მსჯავრდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 86.6%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):


მსჯავრდებულები დაწესებულებებში




როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მსჯავრდებული 2017 წლის მარტის თვეში №17 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (26) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.3%-ს უტოლდება. არასრულწლოვანთა შორის 13 ბრალდებულია. მათგან, ერთი მდედრობითი სქესის. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 50.0%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 13 მსჯავრდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.2%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 50.0%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პენიტენციურ დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):




11.3 საპატიმრო ადგილების ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 12 681-ს შეადგენს. 2017 წლის მარტის მონაცემებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (9 539) ამ ზღვარზე 3 142 ერთეულით (24.8%) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მარტის თვეში, დადგენილ ლიმიტებთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი №2 და №15 დაწესებულებებში ფიგურირებს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც პროცენტული მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა/მეტობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №29):


**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა
დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ნაკლებობის/მეტობის მაჩვენებლებით**




როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2017 წლის მარტში, №2 და №15 დაწესებულებებში განთავსებული იყო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ჭარბი რაოდენობა. ხოლო, დადგენილთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროცენტულად ყველაზე ნაკლები რაოდენობა №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.4 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით


2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 86.6%-ს შეადგენდა. მათგან, უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენდნენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური (4 761) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (3 701) ჩადენილი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს. ასევე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ (2 074) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №30, №31):



მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით დაწესებულებებში




**მსჯავრდებულები
დანაშაულის სახეობის მიხედვით**



11.5 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში, მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც დაწესებულების ტიპი განესაზღვრათ 8 063-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 200-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №32):

**მსჯავრდებულები
დაწესებულების ტიპის მიხედვით**




11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2017 წლის მარტის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 32 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. მიმდინარე წლის მარტის დასასრულს, მათი რიცხვი 355-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 3.7%) შეადგენდა. მათ შორის: №2 დაწესებულებაში 4 (რუსეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო, რუსეთი-თურქეთი, რუსეთი-თურქეთი), №5 დაწესებულებაში 4 (სომხეთი-თურქეთი, თურქეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო), №8 დაწესებულებაში 8 (ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, თურქეთი-ნიდერლანდები), №14 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №17 დაწესებულებაში 1 (რუსეთი-საქართველო), №19 დაწესებულებაში 1 (სომხეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა.


ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები მოქალაქეობის სახელმწიფოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები




როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქეთზე, აზერბაიჯანზე, რუსეთსა და სომხეთზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (განა - 1, გერმანია - 1, ეკვადორი - 1, კოლუმბია - 1, კოტ’დ’ივუარი - 1, ლიბანი - 1, მექსიკა - 1, პაკისტანი - 1, სომალი - 1, ტაჯიკეთი - 1).

უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები




უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა

2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ სისტემაში სულ 901 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან, საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 444, ხოლო სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 457 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №35):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გადაყვანა




11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 647 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის პენიტენციური

სისტემიდან სხვადასხვა საფუძვლით გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №36):

პენიტენციური სისტემიდან გასული ბრალდებულები და მსჯავრდებულები




როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (184), პირობით ვადამდე (109) შეწყალებით (95) და პირობითი მსჯავრით (30) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა (8), განაჩენის აღსრულების გადავადება (1) და ამნისტია (1). გარდა ამისა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (219) მთლიანი რაოდენობის 33.8%-ს შეადგენდა.

11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლებულ-გადავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):

ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო გათავისუფლება-გადავადება




11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის პროგრამებისა და ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად.


2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 1 025 პირისთვის მოქმედებდა. აღნიშნულ პროგრამებში, ყველაზე დიდი ადგილი, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით შრომას (531) ეკავა.

ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში და დაწესებულებების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):


რესოციალიზაციის პროგრამებში/ღონისძიებებში ჩართული
ბრალდებულები და მსჯავრდებულები (საერთო)



რესოციალიზაციის პროგრამებში/ღონისძიებებში ჩართული
პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში (საერთო)




რესოციალიზაციის მიმდინარეობა
დაწესებულებებში (საერთო)



2017 წლის მარტის თვეში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელდა/მიმდინარეობდა რესოციალიზაციის 158 პროგრამა/ღონისძიება¹. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:


¹ წარმოდგენილია ღონისძიებების მიხედვით და არა მონაწილეთა მიხედვით.

რესოციალიზაციის პროგრამებში/ღონისძიებებში
ჩართული არასრულწლოვანი პირები (საერთო)




საანგარიშო პერიოდში, 26 არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 158 სხვადასხვა პროგრამასა და ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.


ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის მიმდინარეობა სხვადასხვა პროგრამების/ღონისძიებების მიხედვით:



ფორმალური/არაფორმალური პროფესიული განათლება,
საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები, ფსიქო-სოციალური ტრენინგები/თერაპია




შრომა,
სპორტული/კულტურული და სხვა ღონისძიებები




11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 465 პირი. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სპეცობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):



სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული მსჯავრდებულები სქესობრივ ჭრილში




11.12 დისციპლინური სახდელები


2017 წლის მარტის თვეში, დისციპლინური სახდელები პენიტენციურ დაწესებულებებში 369-ჯერ იქნა გამოყენებული.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური სახდელები სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):


დისციპლინური სახდელები



დისციპლინური სახდელები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




დისციპლინური სახდელები დაწესებულებებში




11.13 წახალისების ფორმები

2017 წლის მარტის თვეში, მსჯავრდებულთა წახალისება 135-ჯერ განხორციელდა. მათი გადანაწილება წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):


წახალისების ფორმები



წახალისების ღონისძიებები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




წახალისების ფორმები დაწესებულებებში




11.14 პაემნის ღონისძიებები

2017 წლის მარტის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 001-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):


პაემნის ღონისძიებები



პაემნის ღონისძიებები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში




პაემნები დაწესებულებებში




11.15 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2017 წლის მარტის თვეში, წარსულში ნასამართლევი ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (4 220) სქესობრივ-ასაკობრივი კრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):

წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სქესობრივ-ასაკობრივ კრილში




წარსულში ნასამართლევი
ბრალდებულები და მსჯავრდებულები დაწესებულებებში




11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2017 წლის მარტის თვეში, დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (4 732) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):

დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრელში




დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები
დაწესებულებებში




11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47):

შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




შეწყალების შედეგად
საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული
მსჯავრდებულები დაწესებულებებში




11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამნისტიის შედეგად, საპატიმრო სასჯელისაგან ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48):

ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში



ამნისტიის შედეგად
საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული
მსჯავრდებულები დაწესებულებებში




11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის საქართველოს სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 8 მუხლით გათვალისწინებული 47 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 126-ე (ძალადობა) მუხლით ჩადენილ ქმედებებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების საფუძველად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):

დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება




ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები

დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ, პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2017 წლის მარტის თვეში, გამოძიება 10 სხვადასხვა დაწესებულებაში და დაწესებულების გარეთ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს:


**ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები
დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ**



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 79 პირის მიმართ² წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 36-40 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2017 წლის მარტის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

² საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით დაწყებული 20 სს საქმეში ფიგურირებს 45 პირი, რომლებსაც სავარაუდოდ დაზიანებანი მიადგათ ურთიერთდაპირისპირების შედეგად. ხოლო, საქართველოს სსკ-ის 378² მუხლით დაწყებულ 11 სს საქმეში ფიგურირებს 18 პირი, სავარაუდოდ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, მოხმარების ფაქტზე.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.20 დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში³

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)


2017 წლის მარტის თვეში, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 16 248-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი სამედიცინო სამსახურებისადმი მიმართვებზე, გასინჯვებსა და გამოკვლევებზე (3 783) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (გულის იშემიური ავადმყოფობა (180), ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები (150), შაქრიანი დიაბეტი (140), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები (134), მამაკაცის სასქესო ორგანოების ავადმყოფობები (132), დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები (130), ქალის მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი ავადმყოფობები და ქალის სასქესო სისტემის არაანთებითი ავადმყოფობები (91), ტრავმები (85), განზრახ თვითდაზიანება (75), შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი (75),

³ დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.


ინფექციური ავადმყოფობები (70), ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (63), ვირუსული ინფექციები, რომლებსაც ახასიათებთ კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანება (55), ასთმა (40), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (38), სიმსივნეები (34), ტუბერკულოზი (14), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმების მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები (7), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (3), თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (2), სამკურნალო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა და არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიური ეფექტები (1), სხვა ვირუსული დაავადებები (1), ნაწლავური ინფექციები (1)) (იხ. დანართი, ცხრილი №51):

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)




დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (14 301) ხასიათდებიან. დაავადებები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №52):

**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)
ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში**



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს დაავადებულთა საერთო რაოდენობაში:


**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)
ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ კატეგორიებში**



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის მარტის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებსა და ქალებში 41-49 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.


არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა დაავადებათა მთლიანი რაოდენობის 0.4%-ს შეადგენს. დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) არასრულწლოვან კაცებში/ქალებში




შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ (იხ. დანართი, ცხრილი №52):

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან კაცებში



დიაგრამაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (გულის იშემიური ავადმყოფობა (150), ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები (138), მამაკაცის სასქესო ორგანოების ავადმყოფობები (132), შაქრიანი დიაბეტი (129), დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები (104), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები (87), განზრახ თვითდაზიანება (73), შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი (72), ტრავმები (71), ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (60), ვირუსული ინფექციები (54), ინფექციური ავადმყოფობები (41), ასთმა (38), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (20), სიმსივნეები (19), ტუბერკულოზი (14), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმის მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები (2), ნაწლავური ინფექციები (1), სამკურნალწამლო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა და არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიური ეფექტები (1).

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან ქალებში



დიაგრამაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილი დაავადებები გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (პიროვნული და ქცევითი დარღვევები (ფსიქოპათიები) (19), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (18), სიმსივნეები (15), ნერვული სისტემის დაავადებები (15), ტრავმები (13), შაქრიანი დიაბეტი (11), ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები (11), ფსიქოპათიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი (6), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმის

მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები (5), ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები (3), შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი (3), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (3), განზრახ თვითდაზიანება (2), თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (2) ასთმა (2), ვირუსული ინფექციები (1), სხვა ვირუსული დაავადებები (1)).


როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში სჭარბობს გასინჯვებისა და გამოკვლევებისათვის სამედიცინო სამსახურებისადმი მიმართვები.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2017 წლის მარტის თვეში სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №53):

პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები



11.21 გარდაცვალება

2017 წლის მარტის თვეში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55).


ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 პირობით მსჯავრდებულები


პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2017 წლის მარტის თვის მონაცემებით, საქართველოში სულ 22 157 პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის, სამეგრელო ზემო-სვანეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონი მოსდევს. პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქსვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული (იხ. დანართი, ცხრილი №56):

პირობით მსჯავრდებულები რეგიონებში




შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (18 515) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით ხასიათდება სასჯელის მოხდის გადავადება (9).

**პირობით მსჯავრდებულები
შეფარებული ღონისძიების მიხედვით**



მთელი ქვეყნის მასშტაბით, პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):


**პირობით მსჯავრდებულთა
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები**




12.2 პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):

**პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**



**პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის სახეობის მიხედვით**




12.3 არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით


2017 წლის მარტის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები (107) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდნენ. არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულების

1.9% (2) ქალია. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):

**არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**




**არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის სახეობის მიხედვით**




12.4 უცხოელი პირობით მსჯავრდებულები

2017 წლის მარტის თვეში, საქართველოში 17 სხვადასხვა მოქალაქეობის 127 უცხოელი პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც პირობით მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 0.6%-ია. მოქალაქეობის მიხედვით მათი განაწილების მაჩვენებელი ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):

**უცხოელი პირობით მსჯავრდებულები
მოქალაქეობის მიხედვით**




**უცხოელ პირობით მსჯავრდებულთა
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები**




12.5 პირობით მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (4 324) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 19.5%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 3.2% (140) ქალია. მიმდინარე წლის მარტის თვეში, ამ სახის პირობით მსჯავრდებულებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამორთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 3 602 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 83.3%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 722 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 16.7%) პირს ჰქონდა შეფარდებული, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №62):

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა




საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა



საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 21 778-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №56):

პრობაციის ღონისძიების შეფარდება




12.6 პირობით მსჯავრდებულთა მატება


2017 წლის მარტის თვეში, სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 241 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №63):


პირობით მსჯავრდებულთა მატება
რეგიონულ კრილში



პირობით მსჯავრდებულთა მატება
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით




ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2017 წლის მარტის თვის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):




12.7 დასრულებული საქმეები


2017 წლის მარტის თვეში, დასრულებული საქმეთა რაოდენობა უცხოელთა (1) და საქართველოს მოქალაქეთა მიმართ (996) საფუძვლისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №67, №68):



**დასრულებული საქმეები უცხოელთა მიმართ
საფუძვლის მიხედვით**






**დასრულებული საქმეები რეგიონულ ჭრილში
საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა მიმართ (საერთო)**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის რეგიონის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი. ხოლო, რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონია.


დასრულებული საქმეების რაოდენობა პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):




12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის 2017 წლის მარტის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №69):

პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში





პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა
რეგიონულ ჯგუფებში



12.9 პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება

2017 წლის მარტის თვეში, პირობით მსჯავრდებულთა შეწყალების 2 ფაქტი დაფიქსირდა. ზემოაღნიშნული ასახულია დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №70):




12.10 პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია

2017 წლის მარტის თვეში, პირობით მსჯავრდებულთა ამნისტიის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №71).

12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა⁴ ერთ ოფიცერზე

2017 წლის მარტის თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 22 157 პირობით მსჯავრდებულის საქმე 168 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი (153) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (153) ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩუმსა და ქვემო ქართლში (22) დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის მარტის თვეში 132 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე, საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №72):




⁴ საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული პრობაციონერთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცერების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას პრობაციონერთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცერის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

12.12 პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია


2017 წლის მარტის თვეში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისა და აჭარის რეგიონებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის, სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამების, განრიდებულთა შეფასებისა და დასაქმების ღონისძიებები სულ 498 პირობით მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2017 წლის მარტის თვის სტატისტიკა პროგრამების, სექსობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):


პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია პროგრამების მიხედვით



**პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში**




**პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
რეგიონულ ჯგუფში**




12.13 პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების 2017 წლის მარტის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №75):

**პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება
რეგიონულ ჭრილში**




**პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




12.14 თავისუფლების შეზღუდვა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსების 2017 წლის მარტის თვის სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის, ასევე პროგრამებში ჩართულობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76):


თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული
მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით



თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოთავსებული
მსჯავრდებულები დანაშაულის სახეობის მიხედვით




**თავისუფლებაზეზღუდულ მსჯავრდებულთა
ჩართულობა პროგრამებში**




ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია დასრულებულ საქმეთა სტატისტიკა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):

**თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში
დასრულებულ საქმეთა რაოდენობა დასრულების საფუძვლისა
და დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**




**თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში
დასრულებულ საქმეთა რაოდენობა დასრულების საფუძვლისა
და დანაშაულის სახეობის მიხედვით**



ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შემოსულ საქმეთა სტატისტიკა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):

**თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში
შემოსულ საქმეთა რაოდენობა
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**



თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში
შემოსულ საქმეთა რაოდენობა
დანაშაულის სახეობის მიხედვით

